



Photo: Unsplash/ Tomáš Malík 2019

საქართველო

მონაცემები ქვეყნის შესახებ 2025

Funded by:



Federal Office
for Migration
and Refugees



გამომცემელი

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) გერმანია

Charlottenstraße 68
10117 Berlin
Germany
ტელეფონი. +49 911 43 000
ფაქსი.+49 911 43 00 260

iom-germany@iom.int
www.germany.iom.int

ეს პროექტი დაფინანსებულია გერმანიის მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური ოფისის მიერ



ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მოძიებულია დიდი სიფრთხილით და საუკეთესო განზრახვით. IOM გერმანიის მისია არ არის პასუხისმგებელი რაიმე სახის შეცდომაზე. უფრო მეტიც, IOM გერმანიის მისია არ არის პასუხისმგებელი ამ დოკუმენტში გამოთქმულ დასკვნებსა თუ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

შინაარსი

1. ჯანდაცვა _____
2. შრომის ბაზარი _____
3. საცხოვრისი _____
4. სოციალური უზრუნველყოფა _____
5. განათლება _____
6. ბავშვები _____
7. კონტაქტი _____
8. მოკლე ინფორმაცია _____
9. ვირტუალური კონსულტაცია _____

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. პროგრამა გთავაზობს ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის სხვადასხვა პაკეტს.

საყოველთაო ჯანდაცვა ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, აგრეთვე თავშესაფრის მაძიებლებზე, ჰუმანიტარული და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სთავაზობს დახმარების მთლიან და ბაზისურ პაკეტებს, რომელიც დამოკიდებულია პირის შემოსავალზე. სოციალურად დაუცველი პირები იღებენ მხოლოდ დახმარების სრულ პაკეტს. პირს, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, შეუძლია ისარგებლოს დახმარების განსაზღვრული პაკეტით ან ალტერნატივად, შესაძლოა შეიძინოს კერძო სადაზღვევო პოლისი. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით არ ფინანსდება ბევრი სამედიცინო სერვისი, შესაბამისად აღამიანები ამჯობინებენ კერძო სადაზღვევი პოლისს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს გადაუღებელი დახმარების დაფინანსებას 70-100%-ით. აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოა; აივ ინფექციის, ტუბერკულოზის, ჰეპატიტი

ც- ს მკურნალობა უფასოა

უფასოა აგრეთვე ინსულინი დიაბეტიკანი პაციენტებისათვის. დიდ ქალაქებში მოქმედებს დიალიზის პროგრამა და არის უფასო. სახელმწიფო აფინანსებს მეთადონით ჩანაცვლებით პროგრამას 100%-ით. პირველადი შემოწმება და პროგრამაში ჩართვა ღირს 70 ლარი. 5 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ დაავადების შესაბამისად. ზოგადი ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის შესახებ ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: <https://nha.moh.gov.ge/ge/p/your-health>. დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს და დარეგისტრირდით უახლოს კლინიკაში. ჯანდაცვის სფეროს პროვაიდერი დაწესებულებების სია შეგიძლიათ იხილოთ

სამედიცინო დაწესებულებები და ექიმები

საქართველოში ყველა კლინიკა პრივატიზებულია. რადგანაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ვერ ფარავს ყველა ასპექტს, საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ კლინიკას ნებისმიერ დროს საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა

ეს სერვისი ფასიანია. უმჯობესია წინასწარ დარეკოთ კლინიკაში და ჩაეწეროთ მიღებაზე. გადაუღებელი შემთხვევებისათვის ფუნქციონირებს



ცოცხალი რიგი.

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე

პაციენტს შეუძლია წინასწარ ჩაეწეროს ექიმთან კონსულტაციაზე. ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პირობებში, პაციენტი უნდა დაეკონტაქტოს ოჯახის ექიმს (საცნობრებელი ადგილის/ მისამართის მიხედვით), რომელიც გადაამისამართებს კონკრეტულ ექიმ-სამედიცინო დაწესებულების შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: <http://ambulatoria.moh.gov.ge/>. ექიმთან კონსულტაცია და მედიკამენტების წაწილი იფარება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიერ (ეს დამოკიდებულია პირის სოციალურ სტატუსზე, საპენსიო ასაკსა და მოწყვლადობის ხარისხზე).

საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტების ჩამონათვალი რომელიც ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში იხილეთ მოცემულ ვებ გვერდზე: <https://nha.moh.gov.ge/ge/c/medicines>

- 112 გადაუღებელი დახმარება
- 1505 ჯანდაცვის სამინისტრო
- 116 001 დაავადებათა კონტროლის ცენტრი

წამლების ხელმისაწვდომობა და ფასები:

საქართველოში აფთიაქების უმრავლესობა გთავაზობს მედიკამენტების მრავალფეროვან არჩევანს. კონკრეტული მედიკამენტის გაყიდვაში არსებობა შეიძლება გადამოწმდეს მათი დასახელებების ან აქტიური ნივთიერების მიხედვით ინტერნეტით ან ტელეფონით შემდეგ მისამართებზე :სამედიცინო საინფორმაციო სამსახური <http://www.mis.ge> +995 032 2 252233. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. <http://apps.ssa.gov.ge>. წამლების უმრავლესობა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ასე რომ პაციენტებს თავად უხდებათ მათი შეძენა. ზოგიერთი

წამალი გაიცემა მხოლოდ რეცეპტით. ასეთ შემთხვევაში პაციენტმა ჯერ უნდა მიმართოს შესაბამისი პროფილის ექიმს და მიიღოს რეცეპტი. შეგიძლიათ გადმოწეროთ აპლიკაცია EKIMO, რათა მარტივად მიიღოთ ინფორმაცია მედიკამენტებზე საქართველოს ფარმაცევტულ დაწესებულებებში. გარდა ამისა, ამ აპლიკაციის მეშვეობით შეგიძლიათ დაჯავშნოთ ექიმთან ვიზიტი და შეარჩიოთ სასურველი სამედიცინო მომსახურება. ამ აპლიკაციის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, მიყევით ამ ბმულს: <https://ekimo.ge/>

მეტი ინფორმაციისთვის საყოველთაო და მიზნობრივი პროგრამების შესახებ იხილეთ სსიპეროვნული ჯანმრთელობის სააგენტოს ვებ გვერდი სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამებზე; <https://nha.moh.gov.ge/ge/p/your-health>

ჯანდაცვის სისტემა: მისაწვდომობა დაბრუნებული პირებისათვის

მონაწილეობა და მოთხოვნები: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ვრცელდება საქართველოს ყველა მოქალაქეზე, აგრეთვე თავშესაფრის მაძიებლებზე, ჰუმანიტარული და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე.

რეგისტრაციის პროცედურა: საქართველოს მოქალაქეები ავტომატურად არიან სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის მონაწილეები, მაგრამ აუცილებელია დარეგისტრირება. ამისათვის დაბრუნებულმა პირებმა უნდა დარეკონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე 15-05, ან პირადად მიმართონ უახლოეს პოლიკლინიკას, სამედიცინო ცენტრს ან საავადმყოფოს რეგისტრაციისათვის.

საჭირო დოკუმენტები: პირადობის მოწმობა

2 შრომის ბაზარი

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2024 წლის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დონემ (15 წლის დაზემოთ) შეადგინა 54.8 % (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umshshvroba>) დასაქმებულთა უმრავლესობის ასაკი შეადგენს 25-დან 60-მდე. მოსახლეობის უმეტესობა არის თვით-დასაქმებული სასოფლო-სამეურნეო სექტორში-16 %. უმეტესად მოსახლეობა დასაქმებულია შემდეგი ეკონომიკური სექტორებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი-16.1%, მრეწველობა 12.9 % და განათლება 11.7% დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2024 წელს იყო 2058.7 ლარი (წინასწარი მონაცემები) ლარი. ყველაზე მაღალი ხელფასები დაფიქსირდა ინფორმაცია და ტექნოლოგიის სფეროში (3858.5 ლარი); ფინანსები და სადაზღვეო საქმე (3215.2 ლარი); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (2506.6 ლარი); სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (2311.7 ლარი) (2023 წლის მონაცემები)

2024 წლის მდგომარეობით უმუშევრობის დონე იყო 13.9%. ფაქტობრივი უმუშევრობის დონე კი საქართველოში ბევრად მაღალია და არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია 15-19 (36.3%) და 20-24 (26.9%) ასაკობრივ ჯგუფებში (2024 წლის მონაცემების მიხედვით). უმუშევრობის დონე უფრო მაღალია მამაკაცებში (16%), ვიდრე ქალებში (11 %). უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალაქებში 14.4 % და სოფლად 13.3 %). 2013 წლიდან მიღებულ იქნა ცვლილებები საქართველოს შრომით კანონმდებლობაში, დასაქმებულთა უფლებების დაცვის კუთხით. ამ მიზნით შეიქმნა შრომითი ბაზრის მენეჯმენტის პორტალი (www.worknet.gov.ge), სადაც სამუშაო მაძიებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ. ყველაზე დიდი მოთხოვნა და ვაკანსიები მომსახურების სექტორშია. ხელფასების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ვებ-გვერდზე <https://www.geostat.ge/ka/>

[modules/categories/39/khelfasebi](https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi)

სამუშაოს ძებნა

ყველაზე დიდი მოთხოვნა სამუშაოზე/მუშახელზე არის მომსახურების სექტორში. ხელფასის განაკვეთების შესახებ ინფორმაციას მოიძიებთ ამ ბმულზე: <http://geostat.ge/index>. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით შემდეგ დაწესებულებებს: დასაქმების ხელმძღვანელის სახელმწიფო სააგენტო. მისამართი: მიხეილასათიანის 9, თბილისი. ტელეფონი: +995 32 2395306. <https://www.facebook.com/worknet.gov.ge> www.worknet.gov.ge აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სააგენტო. მის: ივანე ჯავახიშვილის ქ. 70/72, ბათუმი, ტელ: +0422 24 78 83, email: info@adjarainfo.org.ge, dasakmebis.saagento@gmail.com. არსებული ვაკანსიების ვებ გვერდები: <http://www.jobs.ge> or <http://www.hr.ge>

უმუშევრობის შემწეობა

დასაქმების ხელმძღვანელის სახელმწიფო სააგენტო დახმარებას უწევს სამუშაოს მაძიებლებს / უმუშევარ პირებს კარიერის დაგეგმვაში, სამსახურის ძებნის პროცესში. სამუშაოს მაძიებელთა დახმარება შემოიფარგლება პროფესიული განათლების მიღებაში ხელმძღვანელთა, ხელახალი დატრენინგება და კვალიფიკაციის ამაღლება. სამუშაოს მაძიებლები უნდა დარეგისტრირდნენ ვებ გვერდზე worknet.gov.ge ან პირადად მიმართონ დეპარტამენტს, სადაც მიიღებენ შემდეგ მომსახურებას: კონსულტირება დასაქმების შესახებ, CV-ს მომზადება და პოტიენციურ დამსაქმებელთან დაკავშირება. სარგებელი და ხარჯები: საქართველოში უმუშევარი პირებისათვის შემწეობის პროგრამა არ არის.

2 შრომის ბაზარი

განათლების შესაძლებლობები, პროფესიული სწავლება

სამუშაოს მაძიებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ვებ გვერდზე worknet.gov.ge რომელიც აკავშირებს სამუშაოს მაძიებლებს დამსაქმებლებთან. სამუშაოს მაძიებლებს აქვთ ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლებაზე. პროფესიული განათლების მიღება ნებაყოფლობითია და მსურველთათვის ზედ ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს.

პროფესიული განათლება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია ხელმისაწვდომი. სწავლის პესიოდი გრძელდება 1-3 წელი. ტრადიციული სწავლების გარდა, მისი განხორციელება შესაძლებელია რეალურ ან იმიტირებული სამუშაო გარემოში. სტუდენტი სწავლის პარალელურად დასაქმებულია ორგანიზაციაში და ზოგ შემთხვევაში სტიპენდიის სახით ხდება მისი შრომის ანაზღაურება.

სწავლა მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება კერძო პროფესიული კოლეჯებს, აქ არის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაფინანსება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც წესი ეს მოთხოვნები უკავშირდება წინარე განათლების არსებობას, თუმცა კონკრეტული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით შეიძლება დაწესდეს სხვა მოთხოვნებიც.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ორი გზით: 1. პროფესიული ტესტირება 2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული კონკურსი/შერჩევა მსურველმა რეგისტრაცია უნდა გაირაოს ვებ გვერდზე- www.vet.emis.ge. რეგისტრაციის ვადა ცხადდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. მსურველს შეუძლია აირჩიოს ონლაინ რეგისტრაცია ან ეწვიოს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ისარგებლოს ადმინისტრაციის დახმარებით

ხელმისაწვდომობა დაბრუნებული პირებისათვის

მისაწვდომობა და მოთხოვნები: საქართველოს ყველა მოქალაქეს და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს შეუძლიათ მიიღონ დახმარება დასაქმების ხელმძღვანელის სახელმწიფო სააგენტოში, სამუშაოს მოძიებასთან, საშუააშუალო მომსახურებასთან, საწარმოო სწავლებასთან და ა.შ. დაკავშირებით. თუმცა საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა.

რეგისტრაციის პროცედურა: სამუშაოს მაძიებელი უნდა დარეგისტრირდეს ვებ გვერდზე <https://worknet.moh.gov.ge/> დამოუკიდებლად ან სოციალური მოსახურების სააგენტოსა და დასაქმების ხელმძღვანელის სახელმწიფო სააგენტოს დახმარებით. ეს ორგანიზაციები დაგეგმარებენ სამუშაოს მოძიებასა და ტრენინგების ორგანიზებაში.

საჭირო დოკუმენტაცია: ვადიანი პირადობის მოწმობა და სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, როგორცაა განათლების დამადასტურებელი დიპლომი, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3 საცხოვრისი

ზოგადი ინფორმაცია

უკრაინის კრიზისის შედეგად, საქართველოში უძრავ ქონებაზე ფასები გასამშავდა. ერთი/ორი ოთახიანი ბინის ქირა განსაკუთრებით გაიზარდა რუსი მიგრანტების მხრიდან დიდი მოთხოვნის საფუძველზე. საქსტატის მონაცემების მიხედვით 2024 წელს 41.3-ით % იზრდება მაჩვენებელი. ბანკებს აქვთ საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი და იგი მუდმივად მზარდია ლარის დოლართან გაცვლითი კურსის არასტაბილურობის გამო და მაღალი ინფლაციის პირობებში.

სხვადასხვა წყაროების შედარების შედეგად, უძრავ ქონებაზე სიტუაციის შეფასების მიზნით, მივიღეთ შემდეგი:

- ერთოთახიანი ბინა 1000 / 1200 ლარი(თბილისის გარეუბანი)
- ერთოთახიანი ბინა 1800 / 2300 ლარი(თბილისის ცენტრი)
- ოროთახიანი ბინა 1300 / 1700ლარი (თბილისის გარეუბანი)
- ოროთახიანი ბინა 2000 / 2600ლარი (თბილისის ცენტრი)
- კომუნალური გადასახადის საშუალო ფასები ერთ-ოთახიანი ბინისათვის (წყალი, ელექტროენერგია, გაზი, ინტერნეტი და ა.შ.) - თბილისი/ზონი 200 / 250 ლარი - ცივისეზონი 220 / 300 ლარი

საცხოვრისის მოძიება

გასაყიდი და გასაქირავებელი ბინები თავისუფლად ხელმისაწვდომია საქართველოში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. შესაბამისი ინფორმაცია მიიღება მოიძიოთ ვებ გვერდებზე www.myhome.ge და www.place.ge, www.ss.ge ან გაზეთებში, როგორცაა „სიტყვა და საქმე“.

საცხოვრისის სოციალური გრანტები

თბილისში მოქმედებს უსახლკაროთა მხოლოდ ერთი თავშესაფარი, რომელიც მდებარეობს ლილოს დასახლებაში. ქვემოთ მოცემულია კრიტერიუმები ამ თავშესაფარში მოხვედრის შესახებ. საკმაოდ რთულია თავშესაფარში მოხვედრა მცირე ადგილების და მკაცრი

კრიტერიუმების პირობებში. თავშესაფარი გათვლილია 250 პერსონაზე და არის სათანადოდ აღჭურვილი. ერთი ოთახი გათვლილია 10-12 პერსონაზე. თავშესაფარი არის დროებითი საცხოვრებელი, შესაბამისად აღამიანებს შეუძლიათ დარჩნენ 10 მაქსიმუმ 18 თვე. პირი უზრუნველყოფილი იქნება საკვებით და ტანსაცმლით. დაინტერესებულ პირს შეუძლია დაუკავშირდეს თავშესაფრის ადმინისტრაციას ინდივიდუალურად ან პოლიციის დახმარებით. პირველ რიგში, პირი გაივლის სქრინინგის პროცედურას, რათა შემოწმდეს თავშესაფარში მოხვედრის კრიტერიუმებთან თავსებადობა. თავშესაფრის ადმინისტრაციასთან დაკავშირება შესაძლებელია ნომერზე: 577 902520. თავშესაფარში დასარჩენად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- უნდა იყოს რეგისტრირებული თბილისში მინიმუმ ბოლო 2 წელი;
- უნდა იყოს შრომისუნარიანი;
- არ უნდა ჰქონდეს საკუთრებაში ქონება;
- არ უნდა ჰყავდეს შრომისუნარიანი ოჯახის წევრი ქონებით;
- არ უნდა ჰქონდეს სამედიცინო და კრიმინალური პრობლემები;
- უნდა შეეძლოს საკუთარი თავის მოვლა.

თუ დაბრუნებული პირი არის ტრეფიკინგის ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, საქართველოში მოქმედებს თავშესაფარი დროებითი განთავსების მიზნით.

2020 წლის 29 იანვრიდან აღამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა (კანონმდებლობით დადგენილი) სახელმწიფო ზრუნვისა და დახმარების სააგენტო არის აღამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მექვიდრე. სააგენტო ამაუშავებს ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამ თავშესაფარს: ორს თბილისში და ერთს ბათუმში. რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებს, გარდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებისა, მომსახურების მიღება შესაძლებელია სიდნაღში, ქუთაისსა და გორში. სააგენტო

3 საცხოვრისი

თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ტრეფიკინგის მსხვერპლებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს: ფსიქო-სოციალური დახმარება/რეაბილიტაცია, სამედიცინო მომსახურების მიღება/ ორგანიზება, იურიდიული დახმარების გაწევა (წარმომადგენლობა სამართალდამცავ ორგანოებში და სასამართლოში), თარჯიმნის მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში), ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში ხელშეწყობა, თავშესაფარში განსახლება (მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა და მათზე დამოკიდებულ პირთათვის, რომელიც მოიცავს საკვებს, ჰიგიენას და ა.შ.), უზრუნველყოფა საკვებით, ჰიგიენური საშუალებებით და ა.შ.

წინა წლებში, სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამა სთავაზობდა დაბრუნებულ მიგრანტებს სარეინტეგრაციო მომსახურებებს, მათ შორის იყო მოკლევადიანი პერიოდით საცხოვრისი უზრუნველყოფა. 2020 წლიდან ახალი სააგენტო დევნილთა, ეკო მიგრანტთა და საარგებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ასევე ფარავს მიგრანტთა რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის საკითხებს. პროგრამას შეუძლია მოემსახუროს შეზღუდული რაოდენობის მიგრანტებს. პროგრამა მოქალაქეებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებას: დროებითი თავშესაფარი (არაუმეტეს 6 დამისა), სამედიცინო მცირე სამემოსავლო პროექტები, თვითდასაქმების ხელშეწყობა. პროექტში მონაწილეობისათვის მიგრანტები უნდა აკმაყოფილებდნენ კონკრეტულ კრიტერიუმებს. პროექტის დაფინანსების მიღებისათვის საჭიროა კონკურენციის დაძლევა. (მაქს. ღირებულება 6000 ლარი). სააგენტო ფუნქციონირებს საქართველოს ფონდის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეშ. მნიშვნელოვანია სააგენტოს დაუკავშირდეთ წინასწარ, რათა გაიგოთ უფრო მეტი ამ პროგრამის შესახებ.

პროგრამის კრიტერიუმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და სააკლიკაციო ფორმებისათვის ეწვიეთ: <https://idp.gov.ge/reintegration-programs/>. მისამართი: თამარაშვილის ქ. 15ა,

თბილისი 0186. ცხელი ხაზი: (+995)322 1505; სარეინტეგრაციო პროგრამის განყოფილება: (+995) 032 2 140242; HYPERLINK «<http://www.idp.gov.ge>»www.idp.gov.ge, <https://www.facebook.com/IDPsAgency>. რაც შეეხება სესხებსა და გრანტებს, არსებობს საბანკო სესხი სახლის გასარემონტებლად “შეცვალე ძველი სახლი ახლით”, რომელსაც საქართველოს ბანკი სთავაზობს. საკონტაქტო ინფორმაციის განყოფილებაში მოცემულია კომერციული ბანკების ნუსხა. ასევე შესაძლებელია სესხის გამოტანა საცხოვრისის ყიდვის მიზნით, თუმცა საპროცენტო განაკვეთი მაღალია და ცვალებადი. ბოლო დროს ბანკებმა გაამკაცრეს სესხის გაცემის პირობები.

ხელმისაწვდომობა პირებისათვის	დაბრუნებული
<p>დროებითი უზრუნველყოფა: ძალადობის თავშესაფრები თბილისში (ორი ბათუმში (თავშესაფრები ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის), ქუთაისსა და გორში (თავშესაფრები ძალადობის მსხვერპლთათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა შემოსწავლულ მომსახურებას.</p> <p>სოციალური საცხოვრისი: თბილისში მოქმედებს უსახლკაროთა მხოლოდ ერთი თავშესაფარი, რომელიც მდებარეობს ლილოს დასახლებაში.</p> <p>საჭირო დოკუმენტაცია: თავშესაფარში მოხვედრა მოქმედებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიხედვით. სულ მცირე, პირი უნდა იყოს საქ-ს მოქალაქე. ამ თავში, მოცემულია ზუსტი ჩამონათვალი კრიტერიუმების შესახებ. ტრეფიკინგის მსხვერპლს შეუძლია დაუკავშირდეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დახმარების მიღების მიზნით. (მაგალითად, დროებითი საცხოვრისი უზრუნველყოფა და სხვა მომსახურებები) სააგენტოს ცხელი ხაზი: 116 006.</p> <p>დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარისთვის უზრუნველყოფს არაუმეტეს 6 დამით დროებითი განთავსებას. ტელ: 0322140242; ვებ გვერდი: https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=202301081804126835922998</p>	<p>საცხოვრისი ოჯახური მსხვერპლთა ფუნქციონირებს</p> <p>სოციალური საცხოვრისი</p>

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

საქართველოში მოქმედებს სახელმწიფო სოციალური პროგრამა საარსებო შემწეობის სახით. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ოჯახებს შესაძლებლობა აქვთ დაენიშნოთ ფულადი დახმარება 30 - 60 ლარამდე ოჯახის თითოეულ წევრზე, (თანხის ოდენობა დამოკიდებულია ოჯახის სარეიტინგო ქულაზე). ეს პროგრამა მოიაზრებს მაღალმთიან რეგიონებში დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობას და ფულადი დახმარების გაცემას 100 ლარის ოდენობით (პირველ და მეორე ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში) და 200 ლარის გაცემას მესამე და მომდევნო ბავშვზე ორი წლის განმავლობაში. სახელმწიფო მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა ასევე მოიაზრებს საქ-ს ზოგიერთ სპეციფიკურ რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობას და ფულადი დახმარების გაცემას 135 ლარის ოდენობით ყოველ მესამე დამომდევნო ბავშვზე, სანამ ბავშვი გახდება 2 წლის ასაკის, მაღალმთიან რეგიონებში დახმარების მოცულობა შეადგენს 200 ლარს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დახმარების მოცულობა თვეში შეადგენს 135-დან 750 ლარამდე, მათი მდგომარეობის სიმძიმედან გამომდინარე;

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა: მისაწვდომობა დაბრუნებული პირებისათვის

მისაწვდომობა და მოთხოვნები: საქართველოს ყველა მოქალაქეს მიუწვდება ხელი სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირებს, ოჯახებს ორზე მეტი ბავშვით. მაღალმთიან რეგიონებში ოჯახებს ერთი და მეტი ბავშვით. უფრო მეტი ინფორმაცია იხილეთ: : www.ssa.gov.ge

რეგისტრაციის პროცედურა: დაბრუნებულმა პირებმა უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს ფილიალს. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=34

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები : კონსულტაციისთვის დაუკავშირდით სოციალური მომსახურების სააგენტოს: www.ssa.gov.ge.

საპენსიო სისტემა

საქართველოში მოქმედებს მხოლოდ ერთი ასაკზე დაფუძნებული საჯარო საპენსიო სისტემა. საპენსიო ასაკი: მამაკაცებისათვის - 65 წელი, ქალებისათვის - 60 წელი. დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა მოხდა 2019 წელს, რომელში ჩართვაც არის ნებაყოფლობითი თვით-დასაქმებული პირებისთვის, ასევე დასაქმებული პირებისთვის 40 წელზე ზევით. ამ სისტემაში ჩართვა სავალდებულოა 40 წელს ქვემოთ მყოფი დასაქმებული/თვითდასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასევე უცხოელებისათვის, ვისაც აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა. ამ სისტემაში მონაწილე პირის ხელფასის 2% გროვდება პირის საპენსიო ანგარიშზე. ამას ემატება მთავრობის და დამსაქმებლის შენატანი 2%-ის ოდენობით. როდესაც პირი გახდება საპენსიო ასაკის, მას შეუძლია ყოველ თვიურად მიიღოს დაგროვილი პენსია.

2024 წლიდან მოხუცებულობის პენსია გაიზარდა და და 70 წლამდე მოქალაქეებისათვის შეადგინა 350 ლარი, მთიანი რეგიონებისათვის კი- 420 ლარი. თუმცა მოხუცებულობის პენსია 70 წლის და ზემოთ მოქალაქეებისათვის შეადგენს 450 ლარს, მაღალმთიანი რეგიონებისათვის კი-540 ლარს

საპენსიო სისტემა: მისაწვდომობა დაბრუნებული პირებისათვის

მისაწვდომობა და მოთხოვნები: საქართველოში არსებობს სახელმწიფო საპენსიო სისტემა. მასზე ხელი მიუწვდებათ პირებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ ასაკობრივ კრიტერიუმს: საპენსიო ასაკი: მამაკაცებისათვის - 65 წელი, ქალებისათვის - 60 წელი

რეგისტრაციის პროცედურა: დაბრუნებულმა პირებმა უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს ფილიალს. გადაწყვეტილება მიიღება 10 დღის განმავლობაში. საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა არ შეეხება მათ, ვინც იღებს საზღვარგარეთიდან პენსიას.

საჭირო დოკუმენტები: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საპენსიო სისტემაში ჩართვის კრიტერიუმის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).



Photo: Unsplash/ Tbel Abuseridze 2018

5 განათლება

ზოგადი ინფორმაცია განათლებაზე

საქართველოში კარგად არის განვითარებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი და ზრდასრულთა პროფესიული მომზადება / გადამზადების კურსები. ქართული განათლების სისტემა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- სკოლამდელი განათლება (6 წლამდე ბავშვებისათვის);
- დაწყებითი განათლება (I-VI კლასი);
- საბაზისო განათლება (VII-IX კლასი);
- საშუალო განათლება (X-XII კლასი);
- პროფესიული განათლება;
- აკადემიური უმაღლესი განათლება.

სახელმწიფო ბალები არის უფასო. რეგისტრაცია მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, ჩვეულებისამებრ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე (ივნისი, ივლისი) ყოველწლიურად დადგენილი პროცედურების მიხედვით. დაწყებითი კლასების რეგისტრაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. ინფორმაცია ყველა შესაბამის პროცედურაზე ვრცელდება განათლების სამინისტროს მიერ. <http://emis.ge>. უმაღლესი განათლების მიღების წინაპირობა, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაა. გამოცდაში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც გააჩნია საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი ან შეუძლია / აქვს უფლება უმაღლესი განათლება მიიღოს საზღვარგარეთ. რეგისტრაციისათვის ეწვიეთ შემდეგ ბმულს: <http://registration.emis.ge/>. ოფიციალურ აკრედიტაციას ფლობს 30 <https://online.naec.ge/defon-line/>. 33 უნივერსიტეტი, 20 ინსტიტუტი, 63 კოლეჯი და 7 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

<https://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo>

<https://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>

შესაბამისი ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ: <http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo>. პროფესიული სწავლება სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.



რეგისტრაცია შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განთავსებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ჩარიცხვის პროცედურა დამოკიდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე. ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს ზოგადი უნარების ტესტი. პროფესიული სწავლების ტიპის მიხედვით, შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას დამატებითი გამოცდა. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. მინიმალური ქულა არის 25. სახელმწიფო 2013 წლიდან ვაუჩერული სისტემის მეშვეობით აფინანსებს პროფესიულ განათლებას სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მიმდინარეობს დისკუსიები პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელების შეცვლასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ჩვეულებისამებრ, კურსები იწყება სექტემბერში და მარტში. კურსების საშუალო ხანგრძლივობა 1 წელიწადია. დაინტერესებულმა კანდიდატებმა განაცხადი უნდა გააკეთონ შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით: www.vet.emis.ge. აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლებლებზე დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.mes.gov.ge/content.php?id=215&lang=eng>.

5 განათლება

პანდემიის დროს შეიქმნა ალტერნატიული საგანმანათლებლო რესურსები. დისტანციური სწავლების პლატფორმა “iSchool” მიზნად ისახავს 1-12 კლასის მოსწავლეები უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობით. საშინაო დავალების შესრულება, ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო მასალები სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე <https://www.el.ge/>.

ღირებულება, სესხები და სტიპენდიები

სახელმწიფო საჯარო სკოლა უფასოა. ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს ეძლევათ სახელმწიფო გრანტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. 2024 წელს 6500-ზე მეტმა აბიტურიენტმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი სწავლის დაფინანსებისათვის. მათ შორის 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო 100%-იანი სახელმწიფო გრანტი, 1400-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო 70%-იანი სახელმწიფო გრანტი, ხოლო 4000-ზე მეტმა აბიტურიენტმა კი მიიღო 50%-იანი სახელმწიფო გრანტი. <https://www.etaloni.ge/geo/main/index/108001> ცალკეული უნივერსიტეტები სთავაზობენ სტიპენდიების ან/და საგანმანათლებლო სესხების სხვადასხვა ვარიანტებს, რომლის მიღების კრიტერიუმებსაც თავად განსაზღვრავენ. ასევე არსებობს სამთავრობო სტიპენდიები და გაცვლითი პროგრამები საზღვარგარეთ არსებულ სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ <http://mes.gov.ge/> and <https://edu.aris.ge/>.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის, ცენტრი ამოწმებს უცხოური დაწესებულების მიერ გაცემული

საგანმანათლებლო დოკუმენტის ავთენტურობას და ადგენს ამ დოკუმენტში მოცემული კვალიფიკაციის, ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციასთან.

აღიარებას ექვემდებარება: ზოგად განათლება, პროფესიულ განათლება და უმაღლესი განათლება. აღიარებას არ ექვემდებარება: სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღი), რეზიდენტურა, საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისგან მიღებული თანხმობით განხორციელებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, სხვა პირის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა), მშობლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობის საწარმო წესით დამოწმებული ასლი, საგანმანათლებლო დოკუმენტის* ასლის საწარმო წესით დამოწმებული თარგმანი; (უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნისას წარმოდგენილი საგანმანათლებლო დოკუმენტის უნდა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღების ფორმაზე), საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარებისთვის - ჩვეულებრივი წარმოება (ერთი თვე) 40 ლარი; დაქპარებული წარმოება - 15 სამუშაო დღე - 80 ლარი; 5 სამუშაო დღე - 120 ლარი; 1 სამუშაო დღე - 250 ლარი; დამატებითი დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე: <https://eqe.ge/ka/page/static/213/utskhoetshi-mighebuli-ganatlbeis-aghiareba>

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი/ ფაქსი: (+995 32 2 02 21 21) საფოსტო ინდექსი: 0193; ელ.ფოსტა HYPERLINK «mailto:info@eqe.ge» info@eqe.ge; მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N 2, თბილისი.

ხელმისაწვდომობა მიგრანტებისათვის:

რეგისტრაციის პროცედურა: დაბრუნებულ მიგრანტს, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, აქვს წვდომა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

თუ არასრულწლოვანს აქვს უცხოური დაბადების მოწმობა (დამოწმებული აპოსტილით), საქართველოში დაბრუნების შემდეგ მშობლებმა (მშობელმა) უნდა მიაკითხონ იუსტიციის სახლს (მათ საცხოვრებელ მუნიციპალიტეტში) ბავშვის საქართველოში რეგისტრაციისათვის. ხუთი სამუშაო დღის შემდეგ ბავშვს მიენიჭება ქართული პერსონალური / პირადი ნომერი, რომელიც საჭირო იქნება სხვადასხვა მიმართულებით: უფასო სამედიცინო დახმარების მიღებისათვის, საბავშვო ბაღში და სკოლაში რეგისტრაციისათვის და ა.შ. წარსადგენი საბუთები: მშობლის მოქმედი პასპორტი ან ქართული პირადობის მოწმობა, ნათარგმნი და დამოწმებული (ნოტარიულად) უცხოური დაბადების მოწმობა (უცხოეთში აპოსტილით დამოწმებული). მომსახურება უფასოა.

იუსტიციის სახლი ცხელი ხაზი: 032 2 405 405

საბავშვო ბაღებს, სკოლებს და უნივერსიტეტებს აქვთ ონლაინ რეგისტრაცია. სტუდენტები ირიცხებიან სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდების შედეგებით.

საჭირო დოკუმენტები: საჭირო დოკუმენტები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სახის მომსახურება სურს მიიღოს დაინტერესებულმა პირმა, იქნება ეს უცხოური დიპლომის აღიარება, თუ რეგისტრაცია სკოლაში/უნივერსიტეტში.

ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ო ბ ა მიგრანტებისათვის:

რეგისტრაციის პროცედურა: დაბრუნებულ მიგრანტს, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, აქვს წვდომა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

თუ არასრულწლოვანს აქვს უცხოური დაბადების მოწმობა (დამოწმებული აპოსტილით), საქართველოში დაბრუნების შემდეგ მშობლებმა (მშობელმა) უნდა მიაკითხონ იუსტიციის სახლს (მათ საცხოვრებელ მუნიციპალიტეტში) ბავშვის საქართველოში რეგისტრაციისათვის. ხუთი სამუშაო დღის შემდეგ ბავშვს მიენიჭება ქართული პერსონალური / პირადი ნომერი, რომელიც საჭირო იქნება სხვადასხვა მიმართულებით: უფასო სამედიცინო დახმარების მიღებისათვის, საბავშვო ბაღში და სკოლაში რეგისტრაციისათვის და ა.შ. წარსადგენი საბუთები: მშობლის მოქმედი პასპორტი ან ქართული პირადობის მოწმობა, ნათარგმნი და დამოწმებული (ნოტარიულად) უცხოური დაბადების მოწმობა (უცხოეთში აპოსტილით დამოწმებული). მომსახურება უფასოა.

იუსტიციის სახლის ცხელი ხაზი: 032 2 405 405

საბავშვო ბაღებს, სკოლებს და უნივერსიტეტებს აქვთ ონლაინ რეგისტრაცია. სტუდენტები ირიცხებიან სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული გამოცდების შედეგებით.

საჭირო დოკუმენტები: საჭირო დოკუმენტები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სახის მომსახურება სურს მიიღოს დაინტერესებულმა პირმა, იქნება ეს უცხოური დიპლომის აღიარება, თუ რეგისტრაცია სკოლაში/უნივერსიტეტში.

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ბავშვთა ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობენ.

- სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს უფლებამოსილ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა დაცვის სერვისების საკითხებზე. იგი აკონტროლებს გადამისამართების პროცედურებს სხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით (მაგ. შსს, საბავშვო ბაღები, მერია, განათლების სამინისტრო და ა.შ.) თუ არსებობს ეჭვი ბავშვის წინააღმდეგ ძალადობის შესახებ, სააგენტო და პოლიცია უნდა იქნას ინფორმირებული უპირველეს ყოვლისა.
- სააგენტო უზრუნველყოფს მინდობით მომსახურებას ბავშვის განთავსებას სპეციალიზებულ თავშესაფარში. ეს ხდება ბავშვის მდგომარეობის ყურადღებით შესწავლისა და შეფასების შემდეგ. სააგენტო პასუხისმგებელია ბავშვისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე.
- ომბუდსმენის ოფისი არის დაწესებული, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას. იგი ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო სერვისების მიწოდებას.
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო არის სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვის მომსახურებას, მაგალითად თავშესაფარს. სააგენტოში მუშაობს ფსიქოლოგთა და სოციალურ მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან და უზრუნველყოფენ მათთვის სახელმწიფო სერვისების მისაწვდომობას.



Photo: Unsplash/ Orkhan Farmanli 2019

7 საკონტაქტო ინფორმაცია

ავერსი
სამედიცინო
დაწესებულება
ვაჟა ფშაველას გამზირი #
27ბ, თბილისი
(+995 32) 2 500 700
info.clinic@aversi.ge
<http://www.aversiclinic.ge>

თენგიზ ცერცვაძის სახელობის
ინფექციური პათოლოგიის,
მიდისა და კლინიკური
იმუნოლოგიის სამეცნიერო
პრაქტიკული ცენტრი
სამედიცინო აწესებულება
ლუბლიანას ქუჩა N70,
0159,
თბილისი, საქართველო
(+995) 595-39-55-66
www.aidscenter.ge

ნიუ ჰოსპიტალსი
სამედიცინო
დაწესებულება
კრწანისის ქუჩა #12., 0114,
თბილისი
office@newhospitals.ge
<http://www.newhospitals.ge>

სამსახურის ძიება
დასაქმება
თოფურიას ქუჩა #12, 0186,
თბილისი,
(+995 32) 219 33 33; 57715
30 38
info@hr.com.ge;
<http://www.hr.ge>

თბილისი ბანკი
ბანკი, ფინანსები
მარჯანიშვილის ქუჩა #7,
0102, თბილისი,
(+995 32) 2272 727
info@tbcbank.ge
<http://www.tbcbank.ge>

საქართველოს ბანკი
ბანკი და ფინანსები
გაგარინის ქუჩა #2, 90160,
თბილისი
(+995 32) 2444 444
customerservice@bog.ge
<http://bankofgeorgia.ge/>

ინტერნეტის სერვისები
კავკასუს ონლაინი
მ. წინამძღვრიშვილის 160,
თბილისი.
Email: info@co.ge
ტელეფონი: (+995 32) 2 000
022
<http://www.co.ge/>

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
მომხმარებელთა, განმრთობისა
და სოციალური დაგვის
სამინისტრო
სამთავრობო ორგანო
[https://www.moh.gov.ge/
ka/741/](https://www.moh.gov.ge/ka/741/)

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის
სამინისტრო
სამთავრობო ორგანო
დომიტრი უზბაძის ქუჩა #52,
თბილისი
(+995) 32 2 200 220
<http://mes.gov.ge/>

დასაქმების ხელშეწყობის
სახელმწიფო სააგენტო
დასაქმება
ჯავახიშვილის ქუჩა # 51,
თბილისი
მიხეილ ასათიანის 9,
თბილისი. ტელეფონი:
+995 32 2395306.
<https://worknet.moh.gov.ge/>

ჯი პი აი ჰოლდინგი
დაზღვევა
კოსტავას ქუჩა #67,
თბილისი
(+995 32) 2 505 111
<https://www.gpih.ge/gpih/>

საქართველოს
სამოქალაქო ავიაციის
სააგენტო
ფრენები,
ტრანსპორტირება,
ინფორმაცია კავშირზე,
<http://www.gcaa.ge>

საქართველოს ბავშვები
ბავშვები, ფსიქოლოგიური
კეთილდღეობა
მიცევიჩის ქუჩა # 30/32,
თბილისი
+995 599 112 776
cog@cog.ge

MAC Georgia
ლადო კავსაძის 3,
მე-2 სართული
თბილისი, საქართველო;
ტელეფონი: +0 32 2 197 378
ელ-ფოსტა: MAC_info@
macgeorgia.org
<https://macgeorgia.org/ka/>

7 საკონტაქტო ინფორმაცია

World Vision საქართველო
ბავშვები
ი. იმედაშვილის
ქუჩა # 18/17, 0179,
თბილისი
(+995 32) 215-75-15
Teona_Navdarashvili@wvi.org

პირველი ნაბიჯი
ბავშვები, განსაკუთრებული
საჭიროებები, ეთნიკური
უმცირესობები,
ლუბლიანას ქუჩა
(+995 32) 2 603 604
fsg@firststep.ge,

კარიტას საქართველო
კეთილდღეობა,
ფსიქოლოგიური
მხარდაჭერა
ბესარიონ კლდენტის ქუჩა
#31, ნუცუბიძის II კლასი,
0183, თბილისი.
(+995 32) 2217819
caritas-georgia@caritas.ge

საქართველოს
საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ფონდი
კეთილდღეობა, ოჯახური
ძალადობა, სექსუალური
შევიწროება
მადლაშვილის ქუჩა #4,
თბილისი, 0186,
(+995 32) 2 421 422
Child Helpline 116 111
info@phf.org.ge

სოს ბავშვთა სოფელი
ბავშვები
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი # 11ა, თბილისი
(+ 995 32) 2 204 283
contact@sos-kd.ge

Save the Children
საქართველო
სპეციალური საჭიროებების
მქონე ბავშვთა
რეაბილიტაცია
მიცევიჩის ქუჩა # 27ბ,
სართული 4, თბილისი
(+995 32) 2244520

ტაქსი და ტრანსპორტირება
სატრანსპორტო
პროვაიდერები
ბოლტი, იანდექსი,
მაქსიმი; ყვლაზე
ხშირად მოხმარებადი
სატრანსპორტო
აპლიკაციებია.
ოფიციალურად
რეგისტრირებული ტაქსი
თბილისში არის თეთრი
ფერის.

დევნილთა ეკომიგრანტთა
და საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტო

დაბრუნებულ
მიგრანტთა სახელმწიფო
სარეინტეგრაციო პროგრამა
ტელ: 0322 14 02 42
idp.moh.gov.ge
info@idp.gov.ge

8 მოკლე ინფორმაცია

დაბრუნებამდე მისაღები ზომები

- პირადი დოკუმენტები: მოითხოვეთ დოკუმენტები (სამედიცინო დოკუმენტების ჩათვლით) გერმანიის ხელისუფლებისაგან, განსაკუთრებით საქართველოს საზღვრებსგარეთ დაბადებული ბავშვების ლეგალიზებული და აპოსტილით დამოწმებული დაბადების მოწმობები. საზღვარგარეთ მიღებული განათლების (საშუალო, პროფესიული, სასწავლო კურსი, უმაღლესი განათლება) დამადასტურებელი დოკუმენტი/წერილი / სერთიფიკატი.
- ჯანმრთელობის დაზღვევა: გადაამოწმეთ აცრები (განსაკუთრებით ბავშვებისათვის). უფასო გემიური აცრების მისაღებად თქვენ უნდა დაარეგისტრირდეთ ბავშვები თქვენი უბნის პოლიკლინიკაში.

დაბრუნებისთანავე მისაღები ზომები:

- ჯანმრთელობის დაზღვევა: გაიარე ხელახალი რეგისტრაცია, რათა ჩაერთო საყოველთაო ჯანდაცვის და საპენსიო სისტემებში.
- საცხოვრებელი: დაუკავშირდით შესაბამის დაწესებულებას, რომლებიც დაგეხმარებიან საცხოვრებლის და დასაქმების ძიებაში. მართხელა დედებისათვის, ოჯახური ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის საცხოვრების უზრუნველყოფისათვის დაუკავშირდით სოციალური სერვისების სააგენტოს. ტრეფიკინგის ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ მიმართონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს.
- სოციალური კეთილდღეობა: მიმართეთ სოციალური დახმარების პროგრამას თუ სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებით, ან სოციალურად მოწყვლად ჯგუფს ეკუთვნიან.
- სკოლა და განათლება: მიმართეთ ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებებს, სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს და დაეხმარებოდეთ განმარტების პროცესში.
- პირადი დოკუმენტები: იუსტიციის სახლში შეგიძლიათ აიღოთ ყველა სახის პირადი დოკუმენტი. ვიზიტის დასაჯავშნად გამოიყენეთ: <http://my.gov.ge>

9 ვირტუალური კონსულტაცია

მიგრანტების მხარდაჭერა საქართველოში

გერმანიის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) ახორციელებს ვირტუალური კონსულტაციის პროექტს. საქართველოს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები კონსულტირებას უწევენ გერმანიაში მცხოვრებ მიგრანტებს მათ სამშობლოში დაბრუნებასა და რეინტეგრაციაზე. მსო-ს ადგილობრივ თანამშრომლებთან დაკავშირება შესაძლებელია ქართულ ენაზე ონლაინ პლატფორმების მეშვეობით.

აღნიშნული მომსახურების მიზანია მიგრანტებისათვის დირსეული დაბრუნების შესაძლებლობის შეთავაზება დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამებზე



დაუკავშირდით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოში
 WhatsApp: +995 577 220 506, +995 577 24 35 39
 Facebook: IOM Georgia